სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის
ოქმი N4

ქ. თელავი

26 ივლისი 2019 წ.

სხდომის დასაწყისი: 16:00 სთ

სხდომის დასასრული: 18:30 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

1 . შოთა ნარეკლიშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნანა ათუაშვილი - ორგანიზაცია ,,World Vision" კახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მენეჯერი - საბჭოს წევრი;
3. ნინო პაატაშვილი - ,,საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის" წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;
4. ნიკოლოზ შარვაშიძე - ,,აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის" რეგიონალური კოორდინატორი - საბჭოს წევრი;
5. ასმათ ღვინიაშვილი - ორგანიზაცია ,,World Vision"-ის სოციალური მუშაკი - საბჭოს წევრი;
6. სოფიკო ტაბატაძე - კოოპერატივი „თაფლიანის " ხელმძღვანელი- საბჭოს წევრი;
7. ნინო შამანაური - საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის" თელავის ოფისის სოციალური მუშაკი - საბჭოს წევრი;
8. დავით ღონღაძე - საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის" თელავის ოფისის დირექტორი - საბჭოს წევრი;
9. კონსტანტინე დოლიძე - ა(ა)ი.პ. პროფესიული კოლეჯი ,,პრესტიჟის" დირექტორი - საბჭოს წევრი;
10. ნინო ჭიჭიკოშვილი - თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი.

სხდომას, ასევე ესწრებოდნენ იტალიის ქალაქ მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები, დაგეგმარების სპეციალისტები - ჯუზეპე ბონფანტინი და პატრიცია გაბელანი. ასევე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები.

სხდომის მდივანი: ქეთევან ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მრჩეველთა საბჭოს ჩართულობის ორგანიზაციული საკითხების განხილვა;
2. ქალაქ თელავის მიწათსარგებლობისა და ცენტრალური მოედნის განაშენიანების გენერალური გეგმის განხილვა;
3. სხდომის შეჯამება და რიგგარეშე სხდომის დაგეგმვა

მოისმინეს:

თელავის მუნიციპალიტეტის მერი შოთა ნარეკლიშვილი განვლილ სხდომებზე განხილულ ორ ძირითად საკითხს კერძოდ, მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს აქტიურ ჩართულობას და დასუფთავების აქციის ჩატარებას გამოეხმაურა. მან ყურადღება გაამახვილა აღნიშნულ საკითხებში მრჩევლების ჩართულობის მნიშვნელობაზე და კიდევ ერთხელ გამოთქვა მზადყოფნა მათთან თანამშრომლობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ნანა ათუაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა ჩატარდეს გაფართოებულ ფორმატში, რომელზეც მოწვეულები იქნებიან მუნიციპალიტეტის სამსახურების ხელმძღვანელები და საბჭოს წევრებს საკუთარი სამსახურის პრიორიტეტებს გააცნობენ. პრიორიტეტების გაცნობის შემდეგ საბჭოს წევრები მათთვის სასურველ მიმართულებას აირჩევენ და აქტიურად ჩაერთვებიან მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. აღნიშნული მოსაზრება მუნიციპალიტეტის მერმა და საბჭოს დანარჩენმა წევრება მოიწონეს და მზადყოფნა გამოთქვეს აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობაზე.

გარდა ამისა, საბჭოს წევრი ნიკოლოზ შარვაშიძე ერთ-ერთ სხდომაზე განხილულ საკითხს კერძოდ, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი და ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების განათლების დაფინანსებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამ საკითხის მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინება. მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე უკეთესი იქნება საბჭომ რიგგარეშე სხდომაზე იმსჯელოს, რაზეც მრჩევლებმა დადებითი პოზიცია დააფიქსირეს.

რაც შეეხება სხდომის დღის წესრიგის მორიგ საკითხს - ქალაქ თელავის მიწათსარგებლობისა და ცენტრალური მოედნის განაშენიანების გენერალური გეგმის საბჭოს წევრებისთვის წარდგენას, ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. სხდომაზე მოწვეული იყო

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ვახტანგ კასრელიშვილი, რომელმაც წევრებს პრეზენტაციის სახით გააცნო გენერალური გეგმის ძირითადი მიმართულებები. თავდაპირველად კასრელიშვილმა აღნიშნა, რომ გენერალურ გეგმაზე მუშაობისთვის სამუშაო ჯგუფმა საკმაოდ დიდი შრომა გასწია, ვინაიდან მინიმალური ბაზაც არ არსებობდა რომელიც რაიმე ბიძგს ან მინიშნებას მისცემდათ მუშაობის პროცესში. აქედან გამომდინარე, სამუშაოები რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა: დოკუმენტური მასალების მოძიება, საველე სამუშაოები, მოსახლეობასთან შეხვედრები, საჯარო განხილვები.

ასევე, ვახტანგ კასრელიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქ თელავის მიწათსარგებლობისა და ცენტრალური მოედნის განაშენიანების გენერალური გეგმა ტურიზმს განხილავს ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად და ხაზს უსვამს ეკონომიკურ და სოციალურ საჭიროებებს ქალაქის განვითარების პროცესში. გარდა ამისა, კასრელიშვილმა ყურადღება გაამახვილა თელავის ისტორიული შვიდი ბორცვის ტურისტული მარშრუტის განვითარების კონცეფციაზე და აღნიშნა, რომ გენერალური გეგმის მიხედვით, ბორცვების მეშვეობით უნდა შეიქმნას ქალაქის შემაკავშირებელი ერთიანი ტურისტული ზოლი.

რაც შეეხება უშუალოდ ქალაქ თელავის ცენტრალურ მოედანს, გენერალური გეგმის მიხედვით წარმოდგენილია კულტურულ-რეკრეაციულ, დასასვენებელ და სამუზეუმო ექსპონატად. ვახტან კასრელიშვილის განმარტებით იგი რაც შეიძლება მულტიფუნქციური და ტრანსფორმირებადი ადგილია.

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ნანა ათუაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინაიდან თელავის ისტორიული მუზეუმის შიდა ეზო საკმაოდ მოცულობითია, უმჯობესია ათვისებული იქნეს და გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული იყოს როგორც დასასვენებელი სივრცე.

საბოლოოდ, ქალაქ თელავის მიწათსარგებლობისა და ცენტრალური მოედნის განაშენიანების გენერალური გეგმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა მოიწონეს და დადებითი რეკომენდაცია გასცეს.

სხდომის ბოლოს წერები შეთანხმდნენ, რომ რიგგარეშე სხდომა სავარაუდოდ მიმდინარე წლის 9-10 აგვისტოს ჩატარდება, რომელიც შეეხება მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესს.

სხდომის თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის მერი — შოთა ნარეკლიშვილი

სხდომის მდივანი — ქ. ასლანიშვილი — ქეთევან ასლანიშვილი